

გენერალურ აუდიტორზე თავდასხმის საქმე

არაფორმალური გავლენების კვალი ქართულ
მართლმსაჯულებაში



ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი ანალიზი

2020

გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიანზე თავდასხმიდან თითქმის სამი წელი გავიდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ასეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტის ხელმძღვანელ პირს თავს ესხმიან, ცემენ და ეს უკავშირდება უშუალოდ მის საქმიანობას. ვიდეოკადრებიდან¹, რომელიც საზოგადოებამ არაერთხელ იხილა, ჩანს, რომ გენერალურ აუდიტორთან კონფლიქტი აქვს ყოფილ მთავარ პროკურორს, ოთარ ფარცხალაძეს და ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის ყოფილ მოადგილეს, მიხეილ ჩოხელს.

ინციდენტში მონაწილე პირთა თანამდებობებისა და გავლენების გათვალისწინებით, ამ საქმემ თავიდანვე საზოგადოების მაღალი ინტერესი გამოიწვია. ადამიანის უფლებათა ცენტრი მთელი ამ დროის განმავლობაში იცავს დაზარალებულ ლაშა თორდიანს უფლებებებს.

საქმის მიმდინარეობის საწყის ეტაპზევე შეინიშნებოდა ობიექტურად და სრულყოფილად გამოძიებისთვის საჭირო პოლიტიკური ნების დეფიციტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ამ სისხლის სამართლის საქმეს არ შეცვლია კვალიფიკაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ბრალდების კვალიფიკაციისას კვლავაც უგულვებელყოფილია ქმედების შემადგენლობისას გამოხატული ჯგუფურობის ნიშანი, რამაც გამოძიების მნიშვნელოვანი ხარვეზებით წარმართვა გამოიწვია.

დღეისათვის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში განიხილება, სადაც პროცესი სხვადასხვა მიზეზით ჭიანურდება.

¹ იხ. ინციდენტის ამსახველი კადრები: <https://www.youtube.com/watch?v=V1A7jEQt6FM&t=83s>

დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა

2017 წლის 13 მაისს კლუბ „ელ ცენტროში“ საქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძესა და გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიას შორის მოხდა დაპირისპირება, რომლის საფუძველს დაზარალებული და ბრალდებული მხარეები სხვადასხვანაირად ხსნიან. ლაშა თორდია განმარტავს, რომ ოთარ ფარცხალაძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს აუდიტის სამსახურის მიერ წარმოებული მოკვლევის გამო, რომელშიც ოთარ ფარცხალაძის გვარი ფიგურირებდა. ოთარ ფარცხალაძე კი ინციდენტს გენერალური აუდიტორის დასკვნას არ უკავშირებს.

ფაქტთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის ფარგლებში, რაც გულისხმობს ცემას.

არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ საქმის წარმოება მიმდინარეობს არასწორი კვალიფიკაციით, რამდენადაც დაზარალებული იმჟამად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს და შელაპარაკების მიზეზიც, მისივე ჩვენებით, სწორედ მისი საქმიანობა და მისდამი ბრალდებულთა დამოკიდებულება გახდა. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ასეთი ძალადობის ფაქტებზე აწესებს უფრო ვიწრო, სპეციალურ პასუხისმგებლობას, რომლის დეფინიციაც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლში, რაც გულისხმობს სახელმწიფო წარმომადგენელზე თავდასხმას მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი საკმაოდ ფართოა. 2011 წლის საკანონმდებლო ცვლილებებისას სსკ-ს ეს მუხლი ასე ჩამოყალიბდა: „პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა“. პირველივე ნაწილიდან ცხადია, რომ კანონმდებლის ნებაა, განსაკუთრებულად დაიცვას ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი და მათი ოჯახის წევრები, ისევე როგორც - საჯარო დაწესებულებები, მათ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლების ხელყოფისგან.

პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას თუკი თან ერთვის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება ან ცემა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლით. ამ მუხლში აღნიშნული „ძალადობა“ მოიცავს როგორც ცემას, ასევე ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებასაც.

პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ ძალადობა ყოველთვის არ ქმნის სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას. ეს დანაშაული მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა ხელისუფლების წარმომადგენელზე ძალადობა უკავშირდება მის მიერ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავე პასუხს აგებს მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ან სხვა რელევანტური სისხლის სამართლის ნორმის შესაბამისად.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებული ლაშა თორდია ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას იყო ხელისუფლების წარმომადგენელი. იგი იკავებდა საქართველოს გენერალური აუდიტორის თანამდებობას. შესაბამისად, უდავოა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში (თავდასხმის საქმიანობასთან დაკავშირებული მოტივის არსებობისას) იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივი დაცვის სუბიექტს.

საგულისხმოა, რომ ლაშა თორდია კლუბ „ელ-ცენტროში“ მომხდარ ინციდენტამდე საერთოდ არ იცნობდა მის ცემაში ბრალდებულ ოთარ ფარცხალაძესა და მიხეილ ჩოხელს. შესაბამისად, არც რაიმე წარსულში არსებულ დაპირისპირებას ჰქონია ადგილი, რომ ეს გამხდარიყო დაპირისპირების მიზეზი. დაზარალებულის ჩვენებითაც ირკვევა, რომ აგრესიის ერთადერთი მიზეზი იყო მისი სამსახურებრივი საქმიანობა, კერძოდ, მის დაქვემდებარებაში მყოფი აუდიტის სამსახურის მიერ დაწყებული მოკვლევა ოთარ ფარცხალაძის კომპანიისთვის გადაცემული ქონების კანონიერებასთან დაკავშირებით. ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყების წარმომადგენლებს არ ჰქონდათ გასაჯაროვებელი შესაბამისი აუდიტის დასკვნა ვერ იქნება აღნიშნული მოტივის გაქარწყლების საფუძველი, რამდენადაც ამ დროისათვის ყველასათვის ცნობილი იყო აუდიტის მიერ დაწყებული მოკვლევის შესახებ. ამასთან, გამოძიებით ვერ დგინდება შელაპარაკების დაწყების სხვა კონკრეტული მიზეზი, გარდა დაზარალებულის მიერ არაერთხელ გაცხადებული მოტივისა, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა მის საქმიანობას. აქედან გამომდინარე, არსებობს ყველა წინაპირობა, რომ სისხლის სამართლის ეს საქმე წარმართოს სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, რადგან გამოკვეთილია ამ მუხლით დაცული სუბიექტის მიმართ განხორციელებული ცემის ფაქტი, რომელიც დაკავშირებული იყო მის საქმიანობასთან.

ადამიანის უფლებათა ცენტრი კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოს პროკურატურას, საქმეზე ობიექტური და ყოველმხრივი გამოძიების ჩატარებისა და გამოძიების სრულყოფილად წარმართვის მიზნით, ბრალდებას შეუცვალოს კვალიფიკაცია, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი ჩაანაცვლოს ამავე კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიება არ პასუხობს კანონის მოთხოვნებს, რადგან უფრო სპეციალური ნორმის არსებობის შემთხვევაში, საქმე უნდა წარმართოს სწორედ ამ მუხლზე დაყრდნობით. პრობლემურია პროკურატურის მიერ ამ საქმეში თავად სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის I ნაწილის გამოყენების რელევანტურობაც. საქმეში ბრალდებულია ორი პირი, რომელთაც ერთი და იგივე ქმედების შემადგენლობის განხორციელება, ერთი და იგივე სუბიექტის მიმართ, ერთსა და იგივე დროს ედება ბრალად. პროკურატურამ გამოძიების საწყის ეტაპზევე გამორიცხა დანაშაულის ჯგუფურობა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულის ჯგუფურობას სსკ-ის 27-ე მუხლი განმარტავს. ჯგუფურია დანაშაული, როდესაც ორი ან მეტი დამნაშავე სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას და გამოდის თანაამსრულებლად.

პამ-კლუბის ინციდენტის „კომპრომატად“ გამოყენების მცდელობა

კლუბ „ელ ცენტროში“ მომხდარ ფაქტზე გამოძიება 2017 წლის 14 მაისს დაიწყო. გამოძიების დაწყებიდან 10 დღის შემდეგ, 2017 წლის 24 მაისს სოციალური ქსელით და მედიით გავრცელდა ვიდეოკადრები, რომელიც გადაღებულია „პამ კლუბში“ ფარული ვიდეოსათვალთვალო კამერით. იმავე დღეს ამ ვიდეოკადრებთან დაკავშირებით შსს-მ გაავრცელა განცხადება². როგორც გაირკვა, „პამ კლუბში“ ფარული ვიდეოკამერით გადაღებულ კადრებში ასახულია ლაშა თორდიას და სრულიად სხვა პირებს შორის მომხდარი ინციდენტი, რომელიც სავარაუდოდ 2016 წლის 24 დეკემბერს მოხდა „პამ კლუბში“. ამ ვიდეოკადრების გავრცელებას 2017 წლის 26 მაისს 10 უფლებადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ერთობლივად მიმართვით გამოეხმაურა³. ორგანიზაციების შეფასებით, „პამ კლუბის“ ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის გავრცელება საეჭვოდ ემთხვევა ლაშა თორდიასა და ოთარ ფარცხალაძის შორის მომხდარ ინციდენტზე დაწყებულ გამოძიებას და შესაძლოა, ამ შემთხვევის აქტუალურობის გადაფარვის მცდელობას ისახავდეს მიზნად. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელსა და ოთარ ფარცხალაძეს შორის მომხდარი ინციდენტი არავითარ კავშირში არ არის გავრცელებულ ვიდეოკადრებთან, სადაც სხვა ინციდენტი ასახული და ორივე შემთხვევა დამოუკიდებლად უნდა იქნას გამოძიებული.

მაღევე ცნობილი გახდა, რომ ლაშა თორდიას და მოქალაქეებს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროში 2016 წლის 24 დეკემბრიდან მიმდინარეობდა⁴. ვიდეორჩანწერის გავრცელებამ მაშინვე გააჩინა კითხვები, თუ როგორ მოხდა გამოძიების ხელთ არსებული ვიდეომასალის გასაჯაროება. დამატებით ეჭვებს აჩენდა ოთარ ფარცხალაძის მიერ 14 მაისს გავრცელებული განცხადება⁵, სადაც ის ლაშა თორდიას „შეუფერებელ ქცევებზე“ მიუთითებდა. ფარცხალაძის განცხადებამ გააჩინა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან წინასწარ იცოდა ვიდეომასალის არსებობის შესახებ.

2017 წლის 23 მაისს Facebook-ის და შემდგომ სხვადასხვა ვებგვერდებზე თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე „პამ კლუბში“ ფარული ვიდეორჩანწერების გასაჯაროების თაობაზე მედიით გავრცელებული ინფორმაციისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის

² იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhdeba/10645>
³ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19222&lang=geo>
⁴ ინფორმაცია ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/196333/>
⁵ იხ. ნებგაზეთის ინფორმაცია: <https://netgazeti.ge/news/193947/>

ინსპექტორმა დაიწყო შპს „პ.ა.მ.“-ის მიერ ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება⁶.

შედეგად, ყოფილი გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას საქმეზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა „პ.ა.მ. კლუბი“ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო⁷. სამართალდარღვევა ითვალისწინებს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ინსპექტორმა შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ კომპანიამ კლუბში მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერები მესამე პირს გადასცა მხოლოდ ერთხელ: 2016 წლის 27 დეკემბერს ვიდეოჩანაწერები გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველის კანონის დარღვევით.

2017 წლის 9 სექტემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა, პარტნიორ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, გაავრცელა საერთო განცხადება, რითაც მოუწოდა პროკურატურას, დაეწყო გამოძიება შსს-ს მიერ „პ.ა.მ კლუბში“ მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერის უკანონოდ მოპოვების და გავრცელების შესახებ ფაქტთან დაკავშირებით; საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ასევე შსს-ს მოსთხოვეს, გაესაჯაროვებინა, რა ეტაპზეა ლაშა თორდიამ თავდასხმის და „პ.ა.მ. კლუბში“ მომხდარი ინციდენტის საქმეებზე მიმდინარე გამოძიებები. ხელმომწერმა ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს პარლამენტს, საგამოძიებო კომისიის მეშვეობით შეესწავლა გენერალური აუდიტორზე თავდასხმის ფაქტი. ორგანიზაციების ეს მოთხოვნები სათანადო რეაგირების გარეშე დარჩა.

საქმის გაჭიანურების პრობლემა

2017 წლის 25 მაისს ადამიანის უფლებათა ცენტრმა საგანგებო პრესკონფერენცია⁸ გამართა და საჯარო განცხადებით⁹ მოითხოვა კონსტიტუციური ორგანოს ხელმძღვანელის მიმართ, ამ ორგანოს საქმიანობასთან დაკავშირებული ძალადობრივი აქტის ობიექტური, დროული გამოძიება, საქართველოს პარლამენტის აქტიური მონაწილეობით. განცხადებაში ხაზი გაესვა გამოძიების არასწორი კვალიფიკაციის პრობლემას, რაზეც შესაბამის უწყებებს რეაგირება არ მოუხდებოდა.¹⁰

⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება:
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19322&lang=geo>

⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესრელიზი:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19322&lang=geo>

⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის პრესკონფერენცია:
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19219&lang=geo>

⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება:
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19223&lang=geo>

¹⁰ იხ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადება:
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20098&lang=geo>

2018 წლის 15 თებერვალს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, რომელმაც 2015-2016 წლებში თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვისა და განკარგვის საკითხები შეაფასა. ანგარიშში მოხვდა ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის კომპანიასთან (შპს „ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტი“) დაკავშირებული ორი შემთხვევა. სავარაუდოდ, სწორედ ამ ანგარიშში ასახული საკითხები გახდა ოთარ ფარცხალაძის მიერ 2017 წელს სახელმწიფოს გენერალურ აუდიტორზე თავდასხმის მიზეზი.

2018 წლის 28 თებერვალს ადამიანის უფლებათა ცენტრმა, პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, საჯარო განცხადებით¹¹ მოუწოდა შესაბამის უწყებებს, სახელმწიფო აუდიტის დასკვნის საფუძველზე, დაეწყო გამოძიება „ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტის“ საქმეზე. ასევე ამავე დასკვნის მიხედვით, ლაშა თორდიას საქმეში გამოვლენილი ახალი გარემოებების გამოძიებაზე გავლენის გასაჯაროებისკენ მოუწოდა პროკურატურას.

ამ გარემოებებს და აქტივობებს გამოძიებაზე და მის სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციაზე გავლენა არ მოუხდენია. საგამოძიებო უწყებები არც კი დაინტერესებულან შპს „ბი ეს არ - სი დი ჯი დეველოპმენტის“ საქმიანობით.

მთელი ამ დროის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრის და სხვა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ყოფილი გენერალური აუდიტორის საქმეზე საგამოძიებო ორგანო მუდმივად თავს არიდებდა საქმის ობიექტურად გამოსაძიებლად აუცილებელ საპროცესო მოქმედებებს. შედეგად 2018 წლის ნოემბრამდე არც ბრალის წარდგენა, არც დაზარალებულად ცნობა ან სხვა სახის საპროცესო მოქმედება არ მომხდარა.

საფუძვლიან ეჭვებს ბადებს პროკურატურის მხრიდან თავდაპირველად ამ საქმის გაჭიანურება, ხოლო შემდგომში, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ინციდენტიდან წელიწადნახევრის შემდეგ, ერთბაშად გააქტიურება. კერძოდ, 2018 წლის 5 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის პერიოდში, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ლაშა თორდიას მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე ერთ დღეში წარუდგინა ბრალი ოთარ ფარცხალაძეს და მიხეილ ჩოხელს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, ლაშა თორდია დაზარალებულად ცნო, სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების თაობაზე. იმავე დღეს ჩატარდა სასამართლო პროცესი ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. ოთარ ფარცხალაძე და მიხეილ ჩოხელი 5000-5000 ლარიანი გირაოთი გათავისუფლდნენ.

2018 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს პროკურატურამ არ დააკაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის მოთხოვნა ყოფილი გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას საქმეზე ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ

¹¹ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება:
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19501&lang=geo>

ფარცხალაძისთვის და ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსნის, მიხეილ ჩოხელისთვის წარდგენილი სსსკ-ის 126-ე მუხლით წარდგენილი ბრალი (ცემა), გადაკვალიფიცირებულიყო ამავე კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით (სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელზე თავდასხმა, მისი საქმიანობიდან გამომდინარე)¹².

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საქმის მსგავსი გაჭიანურება, შემდგომში ფორსირებული საპროცესო მოქმედებები და წაყენებული ბრალის სიმსუბუქე, ასევე - გამოყენებულ ნორმათა არარელევანტურობა, შესაძლოა, მიანიშნებდეს საგამოძიებო უწყების მოქმედება/უმოქმედობაზე პოლიტიკური გავლენების არსებობას, რაც არღვევს ამ საგამოძიებო ორგანოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.

სასამართლო პროცესის მიმდინარეობა

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები, როგორც დაზარალებულის უფლებადამცველები, ასევე ახორციელებენ სასამართლო მონიტორინგს მთელი ამ დროის განმავლობაში, პროცესის გამჭვირვალეობისა და საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით. მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული ხარვეზები და პროცესის ხელოვნური გაჭიანურება კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს მთელი ამ პროცესის არაობიექტურად და მიკერძოებულად წარმართვასთან დაკავშირებით და მიუთითებს კონკრეტული პირების მიმართ ქვეყანაში არსებული შერჩევითი სამართლის შესაძლო ნიშნებზე.

2019 წლის 7 თებერვალს დანიშნული სასამართლო სხდომა ბრალდებულ ოთარ ფარცხალაძის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო - 2019 წლის 12 მარტს.

2019 წლის 12 მარტს და 11 აპრილს სასამართლო სხდომა მოსამართლე გიორგი დარახველიძის სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის გამო ორჯერ გადაიდო.

2019 წლის 23 მაისს, სასამართლომ მოისმინა მხარეთა შესავალი სიტყვები და საქმის განხილვა გადადო. მომდევნო სხდომებზე - 28 და 30 მაისს დაიკითხა ბრალდების მხარის მოწმეები.

30 მაისის სასამართლო პროცესზე ოთარ ფარცხალაძე კვლავ არ გამოცხადდა. მისმა ადვოკატმა კი სასამართლოს წარმოუდგინა ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა და მოითხოვა საქმის განხილვა რწმუნებულების მეშვეობით გაეგრძელებინა ადვოკატს, ბრალდებულის თანამონაწილეობის გარეშე. ამ დროისათვის ოთარ ფარცხალაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით უკვე იყო გამოყენებული გირაო. საქმის განხილველმა მოსამართლემ განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობა გირაოს გამოყენებისას არ იცნობს მსგავს შესაძლებლობას და ბრალდების მხარეს მიუთითა აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის მოთხოვნის შესაძლებლობაზე. სახელმწიფო ბრალდების პოზიცია კი, ამ შემთხვევაშიც, არაადეკვატური და გაუმართლებლად ლოიალური აღმოჩნდა. პროცესზე

¹² იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 27.12.2018 წლის განცხადება:
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19767&lang=geo>

დამსწრე პროკურორმა აღმკვეთი ღონისძიების შეცვლაზე უარი განაცხადა. პროკურორის პოზიციის მოსმენის შემდგომ მოსამართლემ, თავისივე წინა განმარტების მიუხედავად, ბრალდებულის დასწრების გარეშე ჩაატარა პროცესი.

მომდევნო სხდომა, რომელიც 2019 წლის 18 ივნისს უნდა გამართულიყო, ტექნიკური მიზეზით (დარბაზის არქონის გამო) გადაიდო განუსაზღვრელი ვადით. მეორე დღეს, 19 ივნისს, მოსამართლე გიორგი დარახველიძეს ამოეწერა უფლებამოსილების ვადა და ამავე წლის 24 ივნისს საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით, აღნიშნული საქმე, მოსამართლე ხათუნა ხარჩილაგას გადაეცა.

2019 წლის 14 აგვისტოს დანიშნული სასამართლო სხდომა მხარეთა გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. შემდგომი სხდომაც, 23 სექტემბერს, იგივე მიზეზით 14 ნოემბრამდე გადაიდო.

14 ნოემბრის სხდომა მოსამართლის სათათბირო ოთახში ყოფნის მიზეზით გადაიდო. 2019 წლის 24 დეკემბერს დანიშნულ სხდომაზე ბრალდებული ოთარ ფარცხალაძე კვლავ არ გამოცხადდა, მისმა ადვოკატმა კი სასამართლოს კვლავ წარმოუდგინა ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა და მოითხოვა საქმის განხილვის გაგრძელება რწმუნებულების მეშვეობით განეხორციელებინა მის ადვოკატს, ბრალდებულის თანამონაწილეობის გარეშე. მოსამართლემ მოქმედი სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმების დაცვით, ეს შუამდგომლობა განუხილველად დატოვა და განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობა გირაოს გამოყენების შემთხვევაში, არ იცნობს მსგავს შესაძლებლობას. ბრალდებულის მიერ პროცესზე გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩათვალა და სასამართლო სხდომა გადადო.

2020 წლის 31 იანვარს, აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა მორიგი სასამართლო პროცესი, სადაც პროცესზე კვლავ არ გამოცხადდა ბრალდებული ოთარ ფარცხალაძე. მას გამოუცხადებლობის მიზეზები სასამართლოსთვის ოფიციალურად არ შეუტყობინებია. პროცესის მიმდინარეობისას ოთარ ფარცხალაძის ადვოკატმა განაცხადა, რომ სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბრალდებული ვერ დაესწრებოდა პროცესს. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არ არსებობდა შესაბამისი გარემოება, რის შედეგადაც გამოუცხადებლობა ჩაითვებოდა საპატიოდ, მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება და გამოუცხადებლობა ჩათვალა ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულებისთვის თავის არიდებად.

მომდევნო სხდომა 2020 წლის 21 თებერვალს გაიმართა და ბრალდებული კვლავ არ გამოცხადდა. მართალია, მოსამართლემ მისი დაუსწრებლობა არასაპატიოდ ჩათვალა, მაგრამ მისივე ადვოკატის მოთხოვნის გათვალისწინებით, სხდომა მაინც განაგრძო და მოწმეებიც დაკითხა. ბრალდების მხარეს (პროკურორს) კვლავ არ დაუყენებია შუამდგომლობა ბრალდებულის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი გირაოს, როგორც აღმკვეთი ღონისძიების ერთ-ერთი სახის გამოყენებას ბრალდებულის მიერ სასამართლოსთვის წინასწარ მიცემულ წერილობით ვალდებულებას უკავშირებს, რაც ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამომძიებელთან, პროკურორთან და

სასამართლოში დროულად გამოცხადებას გულისხმობს. შესაბამისად, სასამართლოში ბრალდებულის არასაპატიო გამოუცხადებლობა პირდაპირ უნდა შეფასდეს ბრალდებულის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობად და გახდეს მის მიმართ გამოყენებული შეღავათიანი აღმკვეთი ღონისძიების (გირაოს) უფრო მკაცრი ღონისძიებით (პატიმრობა) შეცვლის წინაპირობა.

მიმდინარე სასამართლო პროცესზე ყოფილი მთავარი პროკურორის მიერ გირაოს პირობების უგულვებელყოფის მიუხედავად, ბრალდების მხარის (პროკურატურის) და სასამართლოს მხრიდან ადეკვატური რეაქციის არქონა შერჩევითი სამართლის სამსახურო მაგალითად შეიძლება შეფასდეს.

ფარცხალაძის გავლენა პოლიტიკურ და სამართლებრივ პროცესებზე

ეს არ არის ერთადერთი საქმე, სადაც სახელმწიფო ოთარ ფარცხალაძის მიმართ შერჩევით სამართალს იყენებს და მისდამი სისხლის სამართალწარმოება ხელოვნურად ფერხდება ან საერთოდ არ გამოიყენება. ფარცხალაძის გავლენები „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში და სკანდალები, რომელშიც იგი წლების განმავლობაში ეხვეოდა, არაერთხელ გამხდარა საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი. შესაბამისად, მთელ რიგ გახმაურებულ საქმეებზე, ხელისუფლების ორგანოთა უმოქმედობა და ცალკეულ პიროვნებებზე მორგებული სისხლის სამართალი კიდევ უფრო აღრმავებს საზოგადოებაში არსებულ კითხვებს.

ოთარ ფარცხალაძის მთავარი პროკურორობის პერიოდში ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ფარცხალაძის დავალებით, ის 2013 წლის 14 დეკემბერს საკნიდან გაიყვანეს. ყოფილი პრემიერის მტკიცებით, მაშინდელი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე მას გახმაურებულ საქმეებზე, მათ შორის - ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებისა და საქართველოს ექს-პრემიდენტ სააკაშვილის ფინანსური საქმიანობის შესახებ ჩვენებების მიცემას აიძულებდა.

ივანე მერაბიშვილის განცხადებიდან გამომდინარე, 2013 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება, რომელიც 2014 წლის 14 იანვარს დასრულდა. სამსახურებრივი შემოწმების შედეგების თანახმად, არ დადასტურდა ივანე მერაბიშვილის მიერ გაცხადებული ფაქტი - მისი საკნიდან უკანონო გაყვანასთან დაკავშირებით, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ფაქტზე მთავარმა პროკურატურამ გამოძიება არ დაიწყო.

ამ საქმის გამოძიებისთვის არსებულ არასაკმარის პოლიტიკურ ნებასა და გაუმჭვირვალე გამოძიების დასტურია ამავე საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.

საქართველოს მთავრობამ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ერთი კონკრეტული პუნქტის გამო ამავე სასამართლოს დიდ პალატაში გაასაჩივრა. საჩივარი

ეხებოდა ე.წ. ფარცხალაძის ეპიზოდს, რომლის მიხედვითაც, ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ, სავარაუდოდ, ვანო მერაბიშვილი საკნიდან გაიყვანა. თუმცა, დიდი პალატის 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით, საქმე წააგო. გასაჩივრებულ მუხლებთან დაკავშირებით სასამართლოს დიდმა პალატამ 9 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი 5 § 1 მუხლთან მიმართებით – მერაბიშვილის დამით საკნიდან გაყვანის ეპიზოდი¹³.

ყოფილი პრემიერის, ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანასთან დაკავშირებით პროკურატურამ გამოძიება მხოლოდ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ, 2016 წლის 14 ივნისს დაიწყო¹⁴. ამ საქმის გამოძიება საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2017 წლის 22 თებერვალს დაასრულა და განაცხადა, რომ გამოძიების შედეგად ყოფილი პრემიერის მიმართ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა¹⁵.

საგამოძიებო ორგანოების ინტერესებს მიღმა აღმოჩნდა მერაბიშვილის საქმეზე მტკიცებულებათა ფალსიფიცირების, მოწმეებზე ზეწოლისა და ცრუ ჩვენების საკითხიც, სადაც ასევე ოთარ ფარცხალაძის სახელი ფიგურირებდა.

გამოუძიებელი დარჩა კორუფციული გარიგებები ბათუმის პორტის¹⁶, „ჭორჭიან მანგანების“¹⁷ და სიგარეტის ბიზნესის საქმეებზე¹⁸; ასევე პასუხგაუცემელი დარჩა ე.წ. „ომეგას საქმეში“ არსებული „სარდაფის ეპიზოდთან“ დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული კითხვები¹⁹; 2018 წლის 9 სექტემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერში, სადაც სავარაუდოდ, „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანი საუბრობენ, ასევე, იკვთებოდა ოთარ ფარცხალაძის ბრალეულობის საკითხი²⁰.

ადამიანის უფლებათა ცენტრი აგრძელებს ლაშა თორდიას უფლებების დაცვას და ამავე დროს, ყურადღებით აკვირდება საქმის მიმდინარეობას. ორგანიზაცია კიდევ ერთხელ მოუწოდებს შესაბამის უწყებებს, იმოქმედონ კანონის სრული დაცვით და უზრუნველყონ აღნიშნულ სამეგრე კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

¹³ სტრასბურგის გადაწყვეტილების თაობაზე იხ. სტაბია: <https://netgazeti.ge/news/236847/>

¹⁴ <https://bit.ly/2x1u48u>

¹⁵ ინფორმაცია ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/155144>

¹⁶ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/33q4A10>

¹⁷ ინფორმაცია ვრცლად: <https://bit.ly/2UbJTTt>

¹⁸ ინფორმაცია ვრცლად: <https://transparency.ge/ge/blog/korupciis-kvamli-didi-ganacileba-tambakos-biznesshi>

¹⁹ იხ. ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/317299/>

²⁰ იხ. გავრცელებული სტაქლიაფონო საუბრის ჩაწინაწერი: <https://www.myvideo.ge/v/3669171>

➤ **აღამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს ქ. თბილისის პროკურატურას:**

- შეცვალოს არსებული საქმის კვალიფიკაცია სსკ-ის 126-ე მუხლიდან სსკ-353-ე პრიმა მუხლით და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებით უზრუნველყოს საქმეზე ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების წარმართვა;
- ოთარ ფარცხალაძის მიერ სამართალწარმოებისთვის არაერთხელ თავის არიდებისა და სამართლებრივი პროცესების ხელოვნული გაჭიანურებისათვის, მოითხოვოს შეღავათიანი აღმკვეთი ღონისძიების - გირაოს შეცვლა პატიმრობით, რათა აღიკვეთოს ბრალდებულის არასაპატიო მიზეზებით სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა და ხელი არ შეეშალოს სამართალწარმოების პროცესს სასამართლოში.

➤ **თბილისის საქალაქო სასამართლოს:**

- საქმის განხილვის გაჭიანურებით არ დაარღვიოს დაზარალებულ ლაშა თორდიას უფლებები და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვით, საქმეზე გონივრულ ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება.